# დროება

**ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

№ 275 ხუთშაბათი, 10 დეკემბერი 1909 წ. № 275

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ღთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს; სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადება მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ... საათი 5-დან 7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. ... დაკ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ... ზება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



მარიამ დიმიტრის ასული, ეკატერინე გაბრიელის ასული გვერდწითლისა შვილებითურთ, კნ. დიმიტრი დიმიტრის ძე, ქეთევან ზაქარიას ასული თაქთაქიშვილები, ალექსანდრე და ნიკოლოზ გაბაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას მოკლე ხნის ავადმყოფობის შემდეგ: პირველი მეუღლისას, მეორენი შვილისას და ძმისას, მესამენი სიძისას, მეოთხენი დეიდაშვილისა—პროვიზორის თანაშემწის

**სვიმონ რამაზანის ძის გვერდწითლისას,**

და სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ დაესწრნენ პანაშვიდსა და გასვენებას დღეს, ხუთშაბათს 10 დეკემბერს, პანაშვიდი ბინაზე: ვერა, ვარდისუბნის ქ. სახ. გაბაშვილებისა N 7, დილის 11 საათზე, გასვენება 12 საათზე (დღეს) ქალაქ. რკინის გზის სადგურზე და იქიდან 3 ნახევ. საათზე წასვენება მატარებლით სოფ. ზცისში დასაკრძალავათ. (1—1)

წარმოდგენა № 21. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 21.
**აბონიმენტი მე 9**

შაბათს, 12 დეკემბერს, 1909 წ. ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ახალი ორიგინალური პიესა **ს. გლახაშვილისა.**

**ღყურვილი**

დრამა 4 მოქმედებად.
**მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.**
ამ პიესისათვის დახატულია ახალი დეკორაციები.
**ადგილების ფასი:** ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-დე; გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.
**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსადგენად ახალი პიესა ვ. ყიფიანისა „სამეგრელოს მთავარი ლევან“ ამ პიესისათვის იხატება დეკორაციები და იკერება ტანისამოსი.
მორიგი რეჟისორი **კ. შათირიშვილი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**
**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

**ქართული ოპერა**

კვირას, 13 დეკემბერს, 1909 წ. თავად-აზნაურთა თეატრში ქართულ ენაზე წარმოდგენილი იქნება

**„სევილიელი დალაქი“**

ოპერა 3 მოქმ. 4 სურათად, მუს. როსსინისა თარგ. ვ. გუნიას-მიერ.
მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი კალანდაძისა, ბაქრაძისა; ბ-ნნი რჩეულიშვილი, აგასოვი, ცხომელიძე, კარაკიშევი, კარგარეთელი.
ოპერას ლოტბაროსბს **პოლ. პეტრეს-ძე ფალიაშვილი.**
რეჟისსორობს დამსახურებული არტისტი **იოსებ ივანეს ძე რატილი.**
მესამე მოქმედებაში გაკვეთილის დროს ქ-ნი კალანდაძისა შეასრულებს ცნობილ ვილსს „ვენცანოსას“, თარგ. ი. კარგარეთლისა.
სუფლიორი **მ. მოლოდინი.**
ბილეთები იყიდება თეატრის კასსაში. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
**დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.** (6—4)

**გამგეობა**
**ტფილისის სათავად-აზნაურო სა-ადგილ-მამულო ბანკისა**

აუწყებს ბ-ნთ მსესხებელთ, რომელთა უძრავი ქონებანიც დანიშნულია საჯარო ვაჭრობისათვის, რომ ვაჭრობის დღეებში იმათგან არ მიიღება არავითარი თხოვნა შეღავათის შესახებ. (3—6.—1)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
**ზედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.
**ზურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.
**მაღალაშვილი გ. გ** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.
**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.
**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.
**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.
**ხობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.
**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (100—6.—59).

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ს. გაზაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
**ი. ბ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
**ა. ნ. დისამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.
**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი
მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—226)

**პირველად**
**უდიდესი საშობაო ვაჭრობა**
**— იხილე მეოთხე გვერდი**


იხილე მეოთხე გვერდი


**გლეხი-კაცის ისტორია**

**მიიღება ხელის მოწერა გლეხი კაცის ისტორიაზე**

ცნობილი თხზულება **ერკმან-შატრიანისა.** სრული თარგმანი ფრანგულიდან **ივ. მაჭავარიანის** მიერ ავტორთა სურათებით და მათი ბიოგრაფიული ცნობებით.

ოთხივე ნაწილი ერთ წიგნად გამოვა დაახლოებით 1100 გვერდამდე დიდი ფორმატის. ხელის-მოწერით ეღირება მხოლოდ **ერთი მანეთი.**

ხელის-მოწერა დაიწყო ამა 1909 წლის 15 ნოემბრიდან, გაგრძელდება 1-ლ იანვრამდე მომავალ 1910 წლისა. ხოლო ამ დღიდან შეწყდება ხელის-მოწერა და ორი კვირის შემდეგ წიგნის ბეჭდვას შევუდგებით. დაიბეჭდება **იმდენი რამდენიც ხელის-მომწერი იქნება.**

ვისაც სურს ამ წიგნის შეძენა უნდა ეცადოს უსათუოდ 1-ლ იანვრამდე მოაწეროს ხელი ვინაიდან ეს წიგნი **ცალკე გასასყიდათ არ გამოვა.**

იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ აგენტები არ გვყავს, ხელის-მომწერლებმა ერთი მანეთის გარდა უნდა გამოგზავნონ კიდევ **ათი შაური** ფოსტის ხარჯათ ე. ი. სულ 1 მ. 50 კ. თითო წიგნზე. ფულის მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკების გამოგზავნაც საგანგებო წერილით. (заказ. письмо). გამომცემლობა ეცდება წიგნი დანიშნულ დროზე გამოსცეს გამოცემის ტეხნიკური მხარე მტკიცე ნიადაგზე დავაყენეთ და ისეთი დაბრკოლება, როგორიც მოხდა „ეკონომიურ მეცნიერების მოკლე კურსი“-ს გამოცემაზე, ამიერიდან აღარ განმეორდება. წიგნი დაახლოვებით პირველ აპრილისთვის დაურიგდება ხელის-მომწერთ.

ხელის მოწერა მიიღება იმ აგენტებთან რომელთა სიაც გამოცხადებული იყო 6 დეკემბრის „დროების“ და „მომავლის“ ცალკე ფურცელში.

ფული და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტურის და ხელის მოწერის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Василію Гадилія. Кирочная ул. N 9.

წიგნების გამომც. ამხ. „ალიონი“-ს გამგე **ვასილ გადილია.**

(20—5)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. ზედევანიშვილისა.**
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყიფიანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 791. (0—6.—126)

**ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოხე ქიქოძის სახლი. (0—უ.—68)

**ექიმი ლ. ნ. ოჯანჯანოვი**
ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის ფუთხე). (100—ზალ.—81)

**ექიმი კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა**
იღებს ავადმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში. ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (25—6.—19)

**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი**
არჩენს სპეც. ქირურ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (ხქს. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ შედეგი, ბუასილი და სხვ.) დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. ძეგლ., მონუმენტის შეხ. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუღ. გვერდზე. (100—ზალ.—67)

**სამკურნალო**
**ექიმთა საზოგადოებისა**
მუდმივ კრაოტებით.
მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.
**ავადმყოფთა მიღება:**
**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.
**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.
**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.
**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.
**მ. კიმონტი**—ქირურგ. ავად. 11—12 ს.
**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.
**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.
**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**—ქალის შინაგ. 2—3 საათ.
სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეოლ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. მეთანხმებით. საავადმ. განყოფილება მესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—78)

**ქუთაისში**
კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**
**სამკურნალო**
პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—6.—63)

**ექიმი გ. მაგაკიანი**
**შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს, მიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭავაძისა. (100—ზალ.—59)

**სამკურნალო**
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარეთან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მაღლობლად. ტელეფონი N 483.
**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**
ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.
**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.
**თეთრაძე**—სიფ, ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.
**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5
**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 საათ.
**ბოგოევსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.
**ჩუდნოვსკი**—ნერვებ, სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 მ.
**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.
**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.
**ნოვიცკი**— ებ., ქალ., ყოველდღე 1—2
**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ საათ.
**კალამქაროვი**—ბებ., ქალ., ყოველდღე კვირის, გარდა 4—5 საათ.
**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.
**ასპიროვი**—ცხვ. ყელ. ყურ. 1—2 ს.
კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ, ვასსნარის შრატით. (00—6.—126)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდგრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა. (0—586—316)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი**
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** ქუთაისში **კ. თ. ტყეშელაშვილი**
იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (ხუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (0—კვ.—122)

**ქუთაისი** მახათა სამკურნალო კაბინეტი **მ. ტ. ბალანჩივაძისა.**
ყვავილის აცრა, აგრეთვე სახის მასაჟი ორთქლის ვანებით. ვიღებ ავადმყოფებს დილ. 9 ს. ნაშ. 2 ს. ვაჟების გიმნაზიის პირდაპირ ჭილაძის სახლებში. (25—6.—18)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა. N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—10)

**წ.-კ. საზოგადოების გამგეობა**
ამით აცხადებს, რომ კვირას, 13-ს დეკემბერს, სამეურნეო ბანკში დანიშნულია
**საზოგადო კრების**
გაგრძელება
**განსახილველი საგნები:**
1. 1908 წ. ანგარიში.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. 1910 წ. ხარჯთ-აღრიცხვა.
4. მიღება საზოგადოების ახალი წევრებისა.
კრება დაიწყებ: 11 საათზე. (3—1)

**ვერის სახალხო აუდიტორია**
ოთხშაბათს, 16 დეკემბერს, სცენის მოყვარენი გამართავენ საიუბილეო წარმოდგენას **გაბუნია-ცაგარლის** 30 წლის სასცენო მოღვაწეობის სადღესასწაულოდ. **გაბუნია-ცაგარლისა და ჩერქეზიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება
**—ხანუმა—**
კომ. 4 მოქ ა. ცაგარლისა
ბილეთები იყიდება აუდიტორის კასაში 5 საათზე. (4—1)

**ტფილისის სობრანიე**
„სობრანიეს“ კანტორა აუწყებს ბ-ნთ წევრთა და კანდიდატთ, რომ უკანასკნელი ვადა ბილეთების განახლებისა არის 14 დეკემბერი. იმათ, ვინც ამ დროსთვის ბილეთებს არ განაახლებენ, უნდა ბილეთის ფასის გარდა გადაიხადონ 8 მანეთი (წესდების 3ე 15 §).
კანტორა ღიაა საღამოს 8—11 საათზე. (3—592—2)

**ინტელიგენტის ოჯახი** ელისაბედის ქუჩაზე, № 69, კარგს სადგომში, **მიიღებენ ორს მოწაფეს იაფად.** ოთახი ნათელი და დიდია (შესავალ კარების მარჯვენა ზედა კარი). (5—1)

**მებაღეობა ძმ. ავსარქისოვებისა**
იყიდება ხეხილის ხეები საუკეთესო საზღვარ-გარეთელ და ადგილობრივ ჯიშებისა. არის აგრეთვე დეკორატიული მცენარეები. კატალოგი ეგზავნება ყველას უფასოდ პირველ მოთხოვნილებისათანავე.
ადრესი: Ст. Скра Закавк. К. Жел. Дороги, (15—ფ—13)


## ტფილისი, 10 დეკემბერი

წ.-კ. საზოგადოების წლიურ კრების ყურადღება სამართლიანად იყო მიქცეული საზოგადოების მაღაზიის საქმეების წარმოებაში აღმოჩენილ ბოროტმოქმედებაზე. ამ ბოროტმოქმედების საქმეს მკითხველი გაიცნობდა ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ ანგარიშებიდან. ექვსი ათას მანეთის ზარალი სახუმარო საქმე არ არის. საზოგადო კრების გულისწყრომა სრულიად კანონიერი იყო და კანონიერივე იყო მისი სურვილი დამნაშავის აღმოჩენისა. ამ საქმეს ნათელი მოჰფინა თვით საზოგადოების გამგეობამ. მაგრამ სანამ გამგეობა იტყოდა თავის აზრს, კამათის დროს ზოგიერთი ორატორი იმის ცდაში იყო, რომ ამ ბოროტმოქმედებაში დამნაშავე პასუხისმგებლად თვით გამგეობაც გამოეყვანა.

გამგეობის წევრის, ფ. გოგიჩაიშვილის განმარტებით, საქმის ვითარება ამგვარი ყოფილა. წინად გამგეობა ფაქტიურ რევიზიას ახდენდა როგორც წიგნის მაღაზიაში, ისე სხვა დარგებშიაც. 1901 წელს გამგეობის წევრთაგან არჩეულმა კომისიამ მოახდინა რევიზია მაღაზიისა და საწყობისა. კომისიამ აღმოაჩინა, რომ მაღაზიას დააკლდა მაშინ 41 მანეთის წიგნი. 1902—1903 წ. გამგეობის მდივნის ს. ფირცხალავას შეტანილ განცხადების თანახმად ხელმეორედ იყო არჩეული კომისია (ნ. ელიავა, ი. ბარათაშვილი, კ. ჯაფარიძე). მაგრამ ამ კომისიას რევიზია არ მოუხდენია. 1904—1906 წელს, რევოლუციის ხანაში, რევიზიის საქმე არავის აგონდებოდა. და შეუძლებელიც იყო იმ დროს წესიერი მუშაობა. 1907 წელს, როდესაც შედარებით სიწყნარე ჩამოვარდა, გამგეობის მდივანს, ფირცხალავას, ორჯელ მიუმართავს გამგეობისათვის—„საბუთები მაქვს, მაღაზიაში საქმეთა წარმოება კარგად არ მიდის და გთხოვთ, რევიზია დანიშნოთო“. მაგრამ ამ გარემოებისთვის მაშინდელ გამგეობას ყურადღება არ მიუქცევია. და აი სწორედ ამ ხანაში უნდა მომხდარიყო მაღაზიის გაქურდვა და სხვა ბოროტმოქმედებანი.

ფ. გოგიჩაიშვილი ეუბნებოდა კრებას: „გამგეობამ დამნაშავე დაგისახელათ, გაცნობათ ისიც, როდის მოხდა სამწუხარო ამბავი, რა პირობებში და ეხლა რომ კრებამ სარევიზიო კომისია აირჩიოს და ხელ-ახალი რევიზია დანიშნოს, ეს ის იქნება, რომ კრებას ეჭვი შეაქვს ჩვენს მოქმედებაში და ამიტომ გამგეობას არ შეუძლიან ეს წინადადება მიიღოსო“.

როგორც ვიცით, კრებამ ხმის უმეტესობით მხარი დაუჭირა გამგეობას და მით, ჩვენის აზრით, სავსებით დაიცვა სამართლიანობის პრინციპი. ეხლანდელი გამგეობა მადლობის ღირსიც უნდა იყოს, რომ წინა წლებში დაბუდებულ ბოროტების კვალს მიაგნო და რომ განსაზღვრულ ინსტრუქციების შემუშავებით და კონტროლის წესიერად მოწყობის საშუალებით მომავალში თავიდან აგვაცილებს ბოროტების განმეორებას.

მაგრამ გაზეთი „მომავალი“ სხვა თვალით უყურებს საქმეს. კვირის ნომერში იგი ამბობს: „საზოგადო კრება ვალდებულია 1908 წლის ანგარიშს სანამ საზოგადოდ დაამტკიცებდეს, აირჩიოს საქმის მცოდნე კაცები და საერთო რევიზია გაუკეთოს „საზოგადოების“ ყოველივე ქონებას და თავისი მოხსენება წარმოუდგინოს არა ჩვეულებრივ კრე-

ზას და გასული წლის ანგარიშიც მაშინ იქმნეს დამტკიცებული და არა დღესო. თუ ვინმე ამაში დაინახავს საზოგადო კრების მიერ უნდობლობის გამოცხადებას, ეს ჩვენი ბრალი როდია. დამნაშავენი თვითონ ისინი არიან და უნდობლობაც ამიტომ დაუმსახურებიათო". ასეთი აზრისა იყო „მომავალი" კრებამდე, ე. ი. მაშინ, როდესაც მას ჯერ კიდევ ხელში არა ჰქონდა გამგეობის განმარტება საქმის ვითარების შესახებ. ხოლო ასეთივე აზრისა დარჩა იგი დღესაც, როდესაც მას უკვე გაცნობილი აქვს აღნიშნული განმარტება. გუშინდელ ნომერში (№ 86) გაზეთი უკმაყოფილებას აცხადებს იმის გამო, რომ საზოგადო კრებამ უარჰყო განსაკუთრებულ სარევიზიო კომისიის არჩევის საჭიროება „საზოგადოების" საქმეების შესამოწმებლად. გაზეთი ბ-ნ გალიორკას პირით ამბობს: „ამ წინადადების უარყოფით კრებამ დიდი შეცდომა ჩაიდინა. მან კიდევ უფრო გააძლიერა ის ხმები, რომელიც საზოგადოებაში დადის. წიგნის მაღაზიაში აღმოჩენილი ბოროტ-მოქმედება ამ ხმებს საზრდოს აძლევს. საჭირო იყო ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოღებოდა ამგვარ ხმებს. ყველაზე უფრო დაინტერესებული ასეთი კომისიის არჩევაში უნდა ყოფილიყო თვით გამგეობა. გამგეობას თვით უნდა მოეთხოვა ასეთი კომისიის არჩევა. ის თითონ უნდა ცდილიყო ამ ეჭვების გაფანტვას, მაგრამ ისე არ მოიქცა" ამას ამბობს „მომავალი" და ერთის სიტყვითაც არ იხსენიებს ფ. გოგიჩაიშვილის განმარტებას, რომელიც, ჩვენის აზრით, სრულიად აქარწყლებს საგანგებო და სპეციალურ კაცებისაგან შემდგარ რევიზის მოხდენის საჭიროებას. თუ გამგეობის განმარტება სუსტია, გაზეთს უნდა ეჩვენებინა, რაშია იგი სისუსტე. ხოლო თუ იგი სავსებით ჰფენს ნათელს ბოროტ-მოქმედების მიზეზებს და ამასთანავე გარანტიას იძლევა, რომ მომავალში შეუძლებელი იქნება ამ ბოროტების განმეორება, მაშინ მეტად და უადგილოდ მიგვაჩნია „მომავალის" ჯიუტობა რევიზიის მოხდენის გამო.

წ.-კ. საზოგადოება ბიუროკრატიული დაწესებულება არ არის. საზოგადოების გამგეობა საზოგადო კრების მიერ არჩეული გამგეობაა. ეს გამგეობა უსასყიდლოდ ემსახურება კულტურულ საქმეს. და, ჩვენი საზრით, ხალხიც მეტის პატივით უნდა ეპყრობოდეს უანგარო მუშაკთ. რა თქმა უნდა, გამგეობის მოქმედება უნაკლულო არასოდეს არა ყოფილა. ის გარემოება, რომ „საზოგადოებას მოჰპარეს 6429 მანეთი იმისი მაჩვენებელია, რომ წინაწლეებში რიგიანად არ იყო დაყენებული მაღაზის კონტროლის საქმე. კონტროლის უვარგისობაზე კრებას თვით ეხლანდელმა გამგეობამ მიუთითა. მანვე აღმოაჩინა ხსენებული ბოროტ-მოქმედება და მანვე შეიმუშავა ინსტრუკციები, რომლის შემოღებითაც საქმეების წარმოება უფრო წესიერი გახდება და კონტროლიც უფრო თვალსაჩინო. ვიმეორებთ, ყველა ამისთვის მადლობის ღირსი უნდა იყოს იგი. „მომავალი" კი სრულ უნდობლობას უცხადებს, არაფრად აგდებს მის განმარტებას, მის მიერ შემუშავებულ ინსტრუკციებს და საზოგადოების იმ ძირითად რეორგანიზაციის საქმის დაწყებას, რომლის ინიციატორადაც არის ეხლანდელი გამგეობა. ყველა ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევს და გაიძახის: დამნაშავეა და უნდობლობაც ამიტომ დაიმსახურაო.

კრიტიკა კარგი რამაა. კრიტიკით უნდა ვიხელმძღვანელოთ საზოგადოებარივ მოღვაწეობის დაფასების საქმეში, ხოლო ერთის მიუცილებელის პირობით კი—კრიტიკას უნდა ჰქონდეს საბუთი და საფუძველი. ამ საბუთს და საფუძველს „მომავალის" წერილებში ჩვენ არა ვხედავთ.

## დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან
9 დეკემბერი.

**ფინლიანდია.**

რუსეთ-ფინლიანდიის საერთო საქმეთა კომისიის სხდომა. კომისიამ უნდა შეიმუშავოს წესები რუსეთ-ფინლიანდიის საერთო კანონების გამოცემის შესახებ. კამათში მონაწილეობა მიიღეს კორევამ, დეიტრიხმა, მთავარ-ეპისკოპოსმა იოგანსონმა და პროფესორმა გერმანსონმა. კამათიდან საბოლოოდ გამოირკვა, რომ კომისიის წევრები ერთმანეთში ვერ შეთანხმდებიან. პირველად ილაპარაკა კორევამ. მან სთქვა: კომისიის ფინლიანდელ წევრების პასუხი ისეთია, რომ მას ჩვენ ვერ დავეთანხმებით. ვრცლად არ განვიხილავ ფინლიანდელ წევრების პასუხზე ვიტყვი მხოლოდ რომ ფინლიანდია რუსეთის განუყოფელი ნაწილია, რუსეთის ცენტრალურ მთავრობას განსაკუთრებული უფლებები აქვს ფინლიანდიის საქმეებში და ამ უფლებების შეცვლა მხოლოდ იმპერიის ძირითად კანონების შეცვლით შეიძლება. სახელმწიფო უფლების მეცნიერების ავტორიტეტი ლაბანდი ორ ნაირ განსაკუთრებულ უფლებას სცნობს: პირველი, მოკავშირე სახელმწიფოს უფლება, რომელიც გამომდინარეობს, ან შემოღებულია იმპერიის კონსტიტუციით; ეს უფლებაშ ეიძლება გაუქმდეს მოკავშირე სახელმწიფოს დაუკითხავადაც; მეორე განსაკუთრებული უფლება მოკავშირე სახელმწიფოსი, რომელიც ხელშეკრულებას სდებს სახელმწიფოსთან. ფინლიანდიას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს მეორე კატეგორიის უფლება, რადგან ის იმპერიის განუყოფელი ნაწილია. ფინლიანდიას შეუძლიან ჰქონდეს პირველ კატეგორიის უფლებები, მაგრამ ამ უფლებების შეცვლა იმპერიის ცენტრალურ მთავრობასაც შეუძლიან. ძირითად კანონების ორი მუხლის ძალით იმპერიის საკანონმდებლო დაწესებულებების უფლება მთელ იმპერიაზედ რა თქმა უნდა ფინლიანდიაზედაც ვრცელდება. ფინლიანდიის წევრების აზრით ადმინისტრატიული კანონმდებლობა უზრუნველჰყოფს იმპერიის ინტერესებს, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ფინლიანდიის სენატი და სეიმი სწორედ ადმინისტრატიულ კანონმდებლობის ხელში ჩაგდებასაც კი სცდილობენ. შემდეგ ილაპარაკა დეიტრიხმა. დეიტრიხმა, სხვათა შორის, სთქვა: ფინლიანდია რუსეთის პროვინციაა. ფინლიანდიას რუსეთმა მხოლოდ ოლქობრივი თვითმართველობა მიანიჭა. ჩვენი მოთხოვნები დაფუძნებულია იმპერიის ძირითად კანონებსა და უმაღლესად გამოცემულ მანიფესტებზედ. კომისიის ფინლიანდიელმა წევრებმა თავიანთი შეხედულება ვერ დაასაბუთეს და ამასთან ჩვენი შეხედულებაც ფინლიანდიაზედ ვერ უარჰყვეს. თუ ჩვენი პროექტი კანონის ძალას მიიღებს, ფინლიანდიელებს არაფერი წაერთმევათ, რაც მათ კანონით ეკუთვნით, მათივე კუთვნილებად დარჩება. დამუქრებ-სა ჩვენ არ გვეშინიან. რუსეთი ფინლიანდიას ბორკილებს კი არ ადებს, პატარა ერის დაჩაგვრა და მისი კულტურის შებოჭვა კი არ უნდა, პირიქით რუსეთს უნდა ხელი შეუწყოს იმპერიის პატარა ერების კულტურულ განვითარებას და კეთილდღეობას. მაგრამ ფინლიანდიელებს უფლება არა აქვთ მოითხოვონ, რუსეთმა დაივიწყოს თავისი ინტერესები პატარა პროვინციის სასარგებლოდ. ჩვენი პროექტი არ ეწინააღმდეგება 1808 წლის 5 ივნისს იმპერატორ ალექსანდრე პირველის მიერ გამოცემულ მანიფესტსო. კომისიის თავჯდომარე ხარიტონოვმა აღნიშნა, რომ ფინლიანდიის განვითარებას და აყვავებას ხელს არ უშლიდა ის გარემოება, რომ ფინლიანდია რუსეთთან შეერთებული იყოო. დამპყრობილმა ფინლიანდიამ, სთქვა ხარიტონოვმა, თუმცა განსაკუთრებულ მართველობა მიიღო, მაგრამ შეუწყნარებელია, რომ მისი პოლიტიკური ცხოვრება და კანონმდებლობა ისე განვითარდეს, რომ ანგარიში არ გაუწიოს რუსეთის ინტერესებს. ეხლა უკვე გამოირკვა, რომ ისეთი კანონები, რომლებსაც საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ, იმპერიის საერთო საკანონმდებლო დაწესებულებას უნდა გადაეცეს. ფინლიანდია დამოუკიდებელი სახელმწიფო არას დროს არა ყოფილა. იმ დროს, როდესაც ფინლიანდია შვეციის ნაწილს შეადგენდა, მაშინ მას ისეთი თავისუფლება არა ჰქონია, როგორც რუსეთის ხელში. საერთო სახელმწიფოებრივ საკითხების შესახებ კანონები რუსეთის საკანონმდებლო დაწესებულებებმა უნდა გამოსცენო. დასასრულ თავმჯდომარემ განაცხადა, ვემხრობი კომისიის რუს წევრების წინადადებასო. ამიგად გავიდა კომისიის რუს წევრების წინადადება. კომისიის გადაწყვეტილებ[ე] გადაეცემა მინისტრთა საბჭოს. მინისტრთა საბჭოსვე გადაეცემა კომისიის უმცირესობის აზრი.

### საზღვარ-გარედ

**ლონდონი.** ცეცხლი გაუჩნდა არდინგის და გობსის მაღაზიას. ამ დროს მაღაზიაში აუარებელი ხალხი იყო. მაღაზია სულ გადაიწვა. ჯერჯერობით იპოვეს სამი კაცის გვამი. გადაიწვა ახლო-მახლო სახლებიც.

**ათინა.** სამინისტროდან გავიდა სამხედრო მინისტრი.

**ბუხარესტი.** უცნობმა მუშამ სამჯერ ესროლა რევოლვერი მინისტრ-პრეზიდენტ ბრატიანოს. ბრატიანო მსუბუქად დაიჭრა.

**კოპენჰაგენი.** რიტცაუს დეპეშათა სააგენტო იუწყება: უნივერსიტეტის კომისიამ განიხილა კუკის მიერ წარდგენილი საბუთის ქაღალდები ჩრდილოეთ პოლიუსის აღმოჩენის შესახებ. უნივერსიტეტის კომისიის სიტყვით კუკის მიერ წარდგენილ საბუთებში არ მოიპოვება ისეთი ცნობები, რომლებიც ამტკიცებდნენ ჩრდილოეთ პოლიუსის აღმოჩენას.

**ლონდონი.** მინისტრ-პრეზიდენტმა ასკვიტმა ლივერპულში სიტყვა წარმოსთქვა. ასკვიტის სიტყვით მომავალ არჩევნებში ლიბერალები გაიმარჯვებენ. ასკვიტმა, სხვათა შორის, განაცხადა: ინგლისის ფლოტი ისე ძლიერია, რომ მომავალშიაც შესძლებს დაიცვას ინგლისი და მისი ვაჭრობაო.

### ო ს მ ა ლ ე თ ი

**სალონიკი.** თავისით დაიხურნენ ზოგიერთი კულტურულ-განმანათლებელი საზოგადოებანი. ადმინისტრაციამ დახურა ბოლგარელთა ზოგიერთი პოლიტიკური კლუბები. მიზეზი ის არის, რომ კლუბებმა უარი განაცხადეს, ახლად გამოცემულ კანონს არ დავემორჩილებითო. მაგალითად, არილეპში პოლიციამ დახურა პოლიტიკური კლუბი, კლუბის ბიურო სამართალში მისცა და დააჯარიმა. სხვა და სხვა ადგილას გაიმართა მიტინგები. მიტინგებზე პროტესტი განაცხადეს ახალ კანონის წინააღმდეგ. მაკედონიის ბოლგარებმა შეიმუშავეს პროექტი ახალ პროგრესიულ პარტიის ორგანიზაციისა. განზრახული პარტიის ორი მეთაური სტამბოლში [illegible], მათ აზრად აქვთ ხელი შეუწყონ პარტიის ახალ წესდების დამტკიცებას და შეთანხმდნენ [illegible] პარტიის მეთაურებთან საერთო მოქმედებისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### რ უ ს ე თ ი

**ტაშკენტი.** ჩიმიონის ნავთის სამრეწველოში ცეცხლი გაჩნდა. მძიმედ დაშავდა 3, მსუბუქად 12 კაცი.

**ლიბავა.** ზღვაზე დიდი ღელვაა. ხმა დადის, ზღვაზედ რამდენიმე მეთევზე დაიღუპაო. ტალღებმა ნაპირზედ გამოაგდო ერთი ნავი. ნავზედ თოკით მიბმული იყო მეთევზე. მეთევზე დამხრჩვალიყო მოვიდა გემი „ლიტუანია". ლიტუანიას გადაურჩენია ხუთი კაცი.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს პრეზიდიუმის და ფრაქციების წარმომადგენლების საერთო კრებამ დაადგინა საშობაო ვაკაციებამდე განიხილონ ადგილობრივ სასამართლოს რეფორმისა (18 მუხლი) და ქალაქების და დაბების უძრავი ქონებათა გადასახადების შესახებ კანონ-პროექტები, 6 შეკითხვა და 20 პატარა კანონ-პროექტი. სათათბიროს საშობაო ვაკაციებისთვის დაითხოვენ 20 დეკემბერს, სათაბირო მუშაობას შეუდგება 20 აინვარს.

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 3, არავინ გარდაცვლილა, ავად არის 21 კაცი.

**მოსკოვი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 29, გარდაიცვალა 3, ავად არის 70 კაცი.

## მოამბენი საბავშო კლუბებში

საბავშო კლუბებს კარგა ხანია აწარმოებენ რუსეთში და საზღვარგარედ. მათი მნიშვნელობა დიდი და საყურადღებოა. რამდენიმე ოჯახი უკავშირდება ერთმანეთს იმ აზრით, რომ ბავშვებს თავისუფალ დროზე, საღამოობით, თავი მოუყაროს სადმე დანიშნულ ბინაზე და გონივრულად დრო გაატარებინოს. ბავშვების კლუბებში შემოღებულია თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპი. მოზრდილებიდან და ბავშვებიდან გამოდიან, სხვათა შორის, მოამბენი, ამბის მთხრობელნი, რომელნიც მოუთხრობენ დამსწრეთ ამბებს საუკეთესო ნაწერებიდან.

---

# ცივ ღამეში ცივი ფიქრებით

(ლექსისებური)

იქროლე, იზუზუნე დაუდეგარო ცივო ქარო! თუნდ ქვეყანა აღგავე, შემძარ სამყარო, შენ მაინც ვერ ამოსწყვეტ ჩემ გულში დაბუდებულ სევდას!..

შეგიძლიან ამიმგლიჯო გული, მაგრამ გულიდან კი ვერ ამომწყვეტ სევდას, სევდას მძიმეს, სიცოცხლის მომწამვლელს...

იმატე სიცივევ! იმატე ყინვავ! შენმა სისასტიკემ თუნდ კვდარნიც შეაძრწუნოს საფლავში, თუნდა ხავსიც კი გააჰკნოს ციხე-კოშკებზე, ის მაინც ვერ გააჰკნობს ჩემ გულში ჩანერგილ ჰმუნვას...

ის უფრო აძლიერებს მას. უფრო აყვავებს. უფრო ალაღებს...

ზურმუხტო ცაო! თითქოს ცისკრის საპატარძლოთ ემზადებოდე, ისე საუცხოვოთ მოგიკრიალებია ლამაზი სახე და ვარსკვლავები მოქათქათენი, როგორც ცოცხალი მარგალიტები ჩამოკიდულან შენ სიმწვანეზე; თან ციმციმებენ და ისიც როგორ? თითქოს პლანეტთა შორის მქროლავი ქარი ნაზათ არხევდეს ამ მარგალიტებს, შენს მშვენებაზე ჩამოკიდულებს და მათი სხივები, თუმცა კი ცივები, მოაქროლებენ აქ სილამაზეს, რა სილამაზეს!—მაისის ვარდთან, ცის ანგელოზთან, ცისკრის ვარსკვლავთან შეუდარებელს...

მაგრამ ლამაზო, საყვარელო, ცისა მნათობნო! რა ვქნა გენაცვათ, როცა ეგ თქვენი სილამაზე ვერ სწვდება ჩემ გულს, რადგან ის სევდით გავსებულა, მით გაჟღენთილა. ვერ ეკონება მას მხურვალეთ, რადგან ამ სევდის ღელვა ახლოს არ უშვებს იმას, უკან აბრუნებს თქვენ სილამაზეს! უკან აბრუნებს და გული რომ არა ლონდება! არა სწუხდება თქვენს მშვენებაზე და ცივათ, გრილათ ემორჩილება სევდისა ძალას.

ს ვდა მინახავს, ჰმუნვაც მინახავს! ან ამათ მეტი სხვა რა მინახავს და შევეჩვიე, შევეთვისე ისეთნაირათ, რომ სიცოცხლეს და სიხარულსაც კი ვგრძნობდი მათში; მაგრამ მაკვირვებს, ეხლა რაღათ ვგრძნობ სევდას სევდასთან, ამ ჩემ სიცოცხლის მეგობარსა და თანამგზავრთან!..

მე გული მტკივა!

ვაჰ, თუ სევდის ზრდამ გულიც გამიპოს, თვითონაც გაჰქრეს ჩემგან შორს სადმე და ცხოვრებაში ისე დამტოვოს გულგატეხილი, მარტოთ, ობლათ მე!..

ჩემი ფიქრები, მონადათ ქმნილნი, სად არ სწვდებიან, სად არ მიჰქრიან!—ხედავენ მზეებს, მთვარე-ვარსვლავებს, სამყაროს მრავალ უხილავ ქვეყნებს; მაგრამ თავინთთვის მაინც აქამდის ვერ უპოვიათ ვერსად ადგილი! ვერ უპოვიათ ვერსად ადგილი უსამზღვრო, თვალით უწვდენ სივრცეში და ჩემსავითა უგზოუკვალოთ დაჰქრიან ყველგან, ქვეყნიდან ქვეყნათ...

რომ ქვეყანაზე არიან ბევრნი, ვინც ნავთ-სადგურში მთლათ მასხარულში თავიანთ ცხოვრების გემებს აბავენ და მყუდროებით კმაყოფილები აღარ შფოთავენ, აღარ ღელავენ!?..

მე ცხოვრებაში მხოლოდ ნავი მაქვს! მაგრამ მასხარულს სხვისა ნავთ-სადგურს იგი არას დროს არ ეკარება და იქ მდგომ სხვასა ძლიერს ხომალდებს იგი არას დროს არ ეფარება!..

მე ნავთ-სადგურათ მომეპოვება მთელი მსოფლიო, სამყაროს კიდე, ქვეყნის კითხვები, იდეალები, ცხოვრების აზრი, ბევრიც სხვა კიდევ, მაგრამ, ვაჰ, ჩემ თავს! ჩემ ცხოვრების ნავს ვეღარ ვაყენებ ჩემს ნავთ-სადგურებს: იქ ქარიშხალი ამოვარდნილა, ხმელეთსაც ანგრევს, ზღვას აბობოქრებს და ჩემ საწყალ ნავს ახლოს არ უშვებს, სადღაც შორს სტყორცნის, შორს დააქანებს...

აღარც ადგილი აზრებისათვის!..

აღარც რამ მყუდრო ჩემი ნავისთვის!..

მე შიში მიპყრობს:

უადგილობით, ვაჰ, თუ დამებნენ მთლათ მე აზრები!

უნავთ-სადგუროთ, ვაჰ, თუ დამენტვრეს საწყალი ჩემი ცხოვრების ნავი!..

მაშინ?—მაშინ?—ეჰ, მაშინ აბა რაღას გავაწყობ, სუსტ-უძლურების მონათ ქცეული!

სხვა რაღა ვუყო! თუ უკეთესი არ მიწერია მე სხვა რამ ბედი, ისევ განვაგრძო დაწყებულ ცურვას, განვაგრძობ ფიქრებს, ვიდრე მოკვდები და სიკვდილამდის არ მოიხრება არავის წინაშე ეს ჩემი ქედი!...

ოჰ, გაფართოვდი სამყაროს კიდევ! უსამზღვროებავ, იზარდე კიდევ! ფასკუნჯის ფრთები შეისხით, აზრნო, მარჯვეთ იფრინეთ კიდითი კიდე და თუ ოდესმე არ გეღირსებათ იპოვოთ ბინა მსოფლიოს მკერდზე—დე, ეგრე იყვეს! იმის ძებნაში, მარად ფრენაში ატარეთ დღენი და როგორც ცაზედ სწყდება ვარსკლავი და თვის ფრენაში ილევა, ჰქრება, თქვენც ისე გაჰქრით, ჩემო აზრებო, თქვენსავ ფრენაში, მარად ძებნაში!...

იქროლე ქარო! იშფოთე ზღვაო! გზა აუბნიეთ ჩემს გატყორცნილ ნავს, და თუ ოდესმე არ მეღირსება, ვიპოვო ქვეყნად მყუდრო ადგილი—დაე, დამენტვრეს ღელვაში ნავი! დაე, ჩამყლაპონ მე ზღვის ტალღებმა! ადრევე ჩაჰქრეს ჩემი ვარსკვლავი, სახე მარიდოს მთვარემ და მზემა, მაინც უდროვოთ მიჯობს სიკვდილი, ვიდრე გულგრილათ ცხოვრების მზერა!...

გული მაინც ჰკვნეს! სევდა გულში სცემს და აზრთა ქროლას, თამაშსა, სრბოლას იგი არ მისდევს, არ ეტანება!.. რა გინდა გულო? ტანჯულ არსებას რისთვის ჩამკვნესი? რათ არ მასვენებ?

აჰ! სიხარულს მთხოვ? ბედნიერებას? სიცილსა-ხარხარს და ნეტარებას?—რა ვქნათ გენაცვა, ეს სიკეთენ შორს გაფრენილან ჩვენგან შორს, შორსა და ჩვენ ტანჯულებას შემოგვხვევია ირგვლივ სიჩუმე და არარობა!

მაგრამ, ჰე, გულო! ხსნა აქაც არის! შესწყვიტე კვნესა! გაჰქერ, ჰე, სევდავ! ჰოი, სიხარულო, ბედნიერებავ! შენ სიყვარულო და ნეტარებავ! თუმცა ჩემგან კი შორს გაქცეულხართ და არ მიჩვენებთ სახეს მცინარსა, მაგრამ ოცნებას, ჩემსა ოცნებას ვერსად წაუხვალთ, ყველგან მოგწვდებათ. თუ გინდა გასცდეთ მსოფლიოს სამზღვრებს, სულ მთლად შთაინთქეთ წყვდიადში, ბნელში, ყველგან მოგწვდებათ ჩემი ოცნება, ვენაცვალები მას მარჯვე ფრთებში? მსუბუქს და ძლიერსა გაშლის რა ფრთებსა, გარშემოხვეულს არარობაზე ერთის შეტევით გადმოფრინდება, გარს მოგეხვევათ, შეგბოჭავთ კოცნით, თქვენთან ლაქუცი არ მომბეზრდება!..

მე ეხლაც ვსტკბები თქვენის მშვენებით! მე ეხლავეც ვგრძნობ თქვენს ნეტარებას!

ბედნიერებავ! შენ ზვირთ-ჩქეფაში შემხედევ როგორ ვყურყუმელაობ! როგორ ვბანაობ, როგორ ვჰყამპალობ, შენს მორევებში როგორ ვხელაობ! და თუ ოდესმე განგების ძალით ანკარა წყაროთ გადაიქცევი, მით უკეთესი! მე იმ წყაროში, ოჰ, როგორ ხარბად დაგეწაფები და ერთი კარგად რაკი გავძღები, მაშინ შენს ჩხრიალს, შენს ველურ ლირინს დავუგდებ მე ყურს, მითაც დავსტკბები და როგორც ველ-ამწვანებული, ამ ნეტარებით მეც ავყვავდები!..

სატრფოვ ლამაზო! ჩემო მალხაზო! ჩემგან თუმცა კი შორს გაქცეულხარ, მაინც ახლო ხარ, მკერდზედ გიხუტებ, მესმის ჩურჩული, ვხედავ შენს ღიმილს, და შენი სუნთქვა არს ჩემი სუნთქვა, იმით აქარვებ ჩემ გულის ტკივილს...

ეს ტრფობის ალი მწვავი, მდაგავი ერთიან მადნობს და ფერფლად მაქცევს, თუმც ფერფლათ ქცეულს, როგორც ფვენიქსი, ახალ მიჯნურათ მწამს გადამაქცევს...

მსუბუქი ფრთები სიხარულისა მიმაქანებენ ედემის ბაღში, სადაც ბობოქრობს ზღვა თვალ-უწვდენი, ზღვა სიხარულის, ზღვა ნეტარების; სადაც ჰქრის კარი ბედნიერებას, ნიავი ტრფობის, სიო მშვენების და მეც ამ უხვი ბედნიერებით ვითრობი, ვსტკბები, თავ-ბრუ მეხვევის...

რას ჩამხარხარებ, შავო დემონო! მე თვითონ ვიცი ეს ოცნებაა! მაგრამ არ იცი, ყველა ოცნება—ეს სინამდვილის დამატებაა და სინამდვილის დამატება ხომ სწორეთ იგივე სინამდვილეა!..

ან სინამდვილე თუ სიფუჭეა, სასიზღრობაა, არარაობა, მაშინ არაფერს სჯობს ეს არარობა ჩემმა ოცნებამ რომ ამოავსოს, ოცნება ტკბილმა, ოცნებამ ტრფობის, ოცნებამ შვების და ნეტარების?...

ნეტავ რას ვწვალობ! რისთვის რას ვსცდილობ! ჩემი იმედი, ჩემი ნუგეში—ყველაა მხოლოთ თავმოტყუება, მაგრამ მიჩვენეთ სანუგეშებლად მე ცხოვრებაში თუნდ ერთი კუთხეც, სადაც სიყალბე თავმოტყუება არა ჰყვაოდეს, იფურჩქნებოდეს, მრავალსა ვარდათ ეყნოსებოდეს და მრავალს ეკლად ევლინებოდეს!....

ოჰ, ჩემო თავო, რისთვისა სტყუი! რათ ეძებ ხსნას იქ, სადაც არ ელი! ალბათ სულისა ძლიერი შფოთვა, გულისა ღელვა, დაუდეგრობა აღარ გასვენებს, და დაუნდობრათ კუთხიდან კუთხეს მძლავრათ გახეთქებს, თორემ პასუხი მე უკვე მზათ მაქვს...

ვიცი რას ნიშნავს ეს ჩემი ღელვა:

ეს ლოთობაა, ეს სიმთვრალეა! სიმთვრალე აზრის, სიმთვრალე გრძნობის, სიმთვრალე ჩემი საწყალ ცხოვრების.

უსიყვარულოთ, უარაყლვინოთ, ხედავ თუ ზოგნი როგორ თვრებიან! ნეტავ ვიცოდე ესე დამთვრალნი მთელ სიცოცხლეში თუ ფხიზლდებიან!...

მაშ მეც ლოთი ვარ!...

მეც დამთვრალი ვარ! ჰა-ჰა-ჰა ჰა-ჰა!

სასაცილოა და საამურიც, მთელი ცხოვრება თუ სიმთვრალეა!...

მაინც ფიქრები, შავი ფიქრები ტალღებსა მცემენ, გარს მეხვევიან! ჩემს ნაშენ აზრებს სულმთლათ აქცევენ და მეც წალეკვას მემუქრებიან. და ჩემის ტანჯვით, სასოწარკვეთით ვხედავ დემონნი როგორ სტკბებიან.

სიცოცხლივ ყველას მონატრულები როცა მიწაში ჩაიფლებიან, ამ თავიანთ ნატვრას ნუ თუ ოდესმე სიკვდილით მაინც ვერ მისწვდებიან!..

ლევან მეტრეველი.

ყველაზე უფრო ვრცლად მოწყობილია ეს საქმე ამერიკაში, სადაც ბავშვები სკოლის გარეშე თავისუფალ დროზე თავ-მოყრილნი უსმენენ ამგვარ ამბის მთხრობელთ და ეცნობიან საუკეთესო მწერლების აზროვნებას და მოღვაწეობას.

ამგვარი თაოსნობა ჩვენში მით უფრო საჭირო და საყურადღებოა, რომ ქართული მწერლობა უცხო ენებიდან თარგმანებით მეტად ღარიბია და მოთხრობა ბავშვებისათვის ამ ნაწერების შინაარსისა ცოცხალ მხატვრულ ქართულის ენით დიდი ნაკლის რამოდენადმე შევსებას უდრის. ქართველი ბავშვი ამ მხრივ ორ მიზანს აღწევს: საუკეთესო მწერლობასაც ეცნობა და ქართულ ენასაც სწავლობს, ითვისებს ამ ენის შინაგან წყობილებას და აზრთა გამოთქმის უნარს ანვითარებს. საუკეთესო ნაწერები ჩვენი და უცხოეთის მწერლობისა იმით არიან ღრმა საგულისხმიერონი, რომ ცხოვრებას მრავალ მხრივ ეხებიან, იმის მდინარებასა და საგანს ნათელს ჰფენენ. ამიტომ მხატვრულად მოთხრობილი ამბავი ბავშვს ულვიძებს ცხოვრების დაკვირვების სურვილს, განაცხოველებს იმის აზროვნებას და კაცთმოყვარე გრძნობას, ამავე დროს თვით ცხოვრებაში არსებულ მრავალ მოვლენისა და საგნის აწერა ენას უვარჯიშებს, „გამოთქმის ხელოვნებას“ უწვრთნის ბავშვს.

თავისუფლების პრინციპი, საბავშო კლუბებში არსებული, იმას ჰნიშნავს, რომ ბავშვს შეუძლიან იქ თავის სურვილის დაგვარად მოიქცეს: შეუძლიან უსმინოს ან უყურადღებოდ დასტოვოს ამბის მთხრობელი. ამნაირად თვით ეს მთხრობელნი იწრთვნებიან,—გამოცდაა მათი, თუ რამდენად ვარგანან ისინი ამ საქმისათვის: ბოლოს და ბოლოს ამბის მთხრობელის ადგილს დაიჭერს ის ადამიანი, რომელიც ბუნებით მოგვარებულია ამ მოღვაწეობისათვის. ბავშვს ბუნებით ალღო შესწევს იმდენად, რომ დაეწაფონ იმას, რაც მართლა სულიერ საკვებს აწვდის. ამავე დროს თავისუფლების პრინციპი თავისუფალ მისწრაფების ხალისს ულვიძებს, ადამიანობის თანასწორობის გრძნობას ამტკიცებს ბავშვის გულში. მწერლისაგან ან იმის ნაწერების მოამბისაგან თავისუფლად გამოთქმულ აზრებს, რასაკვირველია, თავისუფალი მსმენელი ესაჭიროება, რომელსაც მოკლებულნი არიან ჩვენი სკოლები. იქ ბავშვებისათვის სავალდებულოა ყველა მასწავლებლის გაკვეთილის მოსმენა, იმის განურჩევლად, ცოცხალი ადამიანია მასწავლებელი თუ ცოცხალმკვდარ არსებას წარმოადგენს. აქ ბავშვის სიცოცხლე და თაოსნობის უნარი იჩაგრება, იხლუნგება: იგი ჰგრძნობს, რომ უნდა დაემორჩილოს სხვის ბრძანებას. ბოლოს და ბოლოს სკოლიდან გამოდის ყოვლად მორჩილი, თავისუფალ უნარმოკლებული, მთავრობის მოხელეობისათვის სავსებით მომზადებული ადამიანი.

ი. ნაკაშიძე.

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **დავით გურამიშვილის სურათი.** აღმოჩნდა ჩვენის გამოჩენილ მგოსნის დავით გურამიშვილის სურათი. პოეტის სახე დახატულია მინაზე საღებავით. ეს მინა ოთხკუთხიანია. გარეშემო შემოვლებულია ბრინჯაოს რგოლით. ეს სურათი ჰქონია კნ. ოლღა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას შენახული. ამ სურათიდან სახე მგოსნის გადაიღო ფოტოგრაფმა ბაბალოვმა. თითო ცალი იყიდება ფოტოგრაფის მაღაზიაში მიხეილის ქუჩაზე. სახე დახატულია მშვენივრად. სურათს დამატებაში დავბეჭდავთ.

✦ **მამულის გაყიდვა.** ამ დღეებში ჩამოვიდნენ სოფ. კაჭრეთიდან (სიღ. მაზ.) გლეხების მიერ არჩეული პირები მოსარიგებლად თავ. ნიკოლოზ და ალექსანდრე აბაშიძეების მამულის შესახებ. ეს მამული შეიცავს 500 დესეტინას და მდებარეობს სწორედ სოფლის გვერდზე. ამ მამულს ჩამოსულებიც ევაჭრებიან. თუ ეს მამული სხვებმა იყიდეს, სოფლელნი ძლიერ შევიწროვდებიან. უკანასკნელ ქათამსაც ვერ შეიკავებენ.

✦ **სამძიმრის დეპეშა.** ტფ. ქალაქის თავის მოადგილემ ალ. ი. ხატისოვმა, საბჭოს დადგენილების თანახმად, დეპეშა გაჰგზავნა პეტერბურგს და ღრმა მწუხარება განაცხადა ნამესტნიკად ნამყოფის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის გარდაცვალებისა გამო. ქალაქის თავმა დეპეშა გაუგზავნა აგრეთვე თავ. ვ. ს. მიქელაძეს და ინჟინერ ვურცელს დაესწრნენ ტფილისის წარმომადგენლებად დიდის მთავრის დაკრძალვას და ცხედარი ქალაქის სახელით შეამკონ ვერცხლის გვირგვინით.

✦ **სადღესასწაულო წარმოდგენები.** ტფ. ქალაქის სასკოლო კამისიამ განიხილა მოხსენება მომავალ უქმეებში ქალაქის სკოლების მოსწავლეთათვის სადღესასწაულო წარმოდგენების გამართვის შესახებ. კომისიამ დაადგინა, გადასდოს ამ საქმისთვის 1000 მანეთი. უმცროს კლასის მოწაფეებისათვის სამი წარმოდგენა გაიმართება ზუბალაშვილის სახალხო სახლში, ერთი ქართულად, ქართველ მოწაფეთათვის, ერთი—რუსულად და ერთი სომხურად. უმაღლეს კლასების მოწაფეთათვის სადღესასწაულო წარმოდგენა გაიმართება ტფ. საარტისტო საზოგადოების თეატრში.

✦ **შეკითხვა.** „რანნე უტრ.“ სწერს: სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას სათათბიროში შეკითხვა შეაქვს, ქუთაისის გუბერნიაში შიმშილია და მთავრობა რას აპირებსო.

✦ **საბჭოს სხდომა.** დღეს, 10 დეკემბერს, საღამოსთვის დანიშნულია სხდომა ტფ. ქალაქის საბჭოსი. ამ სხდომაზე საბჭო განიხილავს 1910 წლის ხარჯთ-აღრიცხვას.

✦ **ორი საზოგადოების შეერთება.** როგორც ვწერდით, ტფ. წვრილ ვაჭართა საზოგადოების კომიტეტმა მოლაპარაკება გამართა სასტუმროებისა და რესტორან-მებუფეტეების პატრონთა საზოგადოების გამგეობასთან შეერთების შესახებ. შეერთებულმა სხდომამ კომიტეტისა და გამგეობისამ შეიმუშავა საერთო წესდება, რომელიც ტფ. გუბერნატორს უკვე დაუმტკიცებია. ახლო მომავალში მოხდება საზოგადო კრება წესდების გასაცნობად, მთავარ გამგეობის წევრთა ასარჩევად და სხვა მიმდინარე საქმეების განსახილველად.

✦ **მომავალი მომღერალი.** როგორც პეტერბურგიდან გვატყობინებენ, საიმპერატორო თეატრის ცნობილ არტისტს იაკოვლევს ძლიერ მოსწონებია სამხედრო-სამკურნალო აკადემიის სტუდენტის დავით ფალავას ხმა და თავის თავზე მიუღია ფალავას სწავლება და ხმის დაყენება სრულიად უსასყიდლოდ.

✦ **სასჯელის მოხდა.** როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ტფ. სამოსამართლო პალატამ პოლკ. აკიმოვის საჩივრის გამო ლ. ყიფიანს ერთი კვირით დაპატიმრება მიუსაჯა. ბ-ნი ყიფიანი უკვე გაჰგზავნეს საპატიმროში.

✦ **გაზეთი „გოლოს კავკაზა“.** „კასპში“ დაბეჭდილია: ამ დღეებში გაზეთ „გოლ. კავკ.“ რედაქტორმა ტფ. პოლიცმეისტერთან გაზეთის გამყიდველებს უჩივლია, „გოლ. კავკაზა“ არ მიაქვთ გასასყიდადაო. პოლიცმეისტერმა გაზეთის გამყიდველებს დაავალა, იქონიონ ყველა ადგილობრივი გაზეთი.

✦ **„ჯეჯილი“.** მოგვივიდა ჟურნალ „ჯეჯილის“ ნოემბრის ნომერი. ამ ნომერში მოთავსებულია ლექსები, მოთხრობები და წერილები ქუჩიშვილისა, ტასოსი, ეკ. მესხისა, ლადო გეგეჭკორისა, ეკ. გ.—სა, ან. წერეთლისა, ალექსი ჭიჭინაძისა.

✦ **მაზრის უფროსი.** ახალქალაქის მაზრის უფროსად დაინიშნა ქუთაისის საგუბერნიო გამგეობის მოხელე თავ. აბაშიძე.

✦ **მუშების დაკმაყოფილება.** ბათუმის გაზეთი სწერს: რადგან ტყიბულაში „ნახშირის“ მაღაროების მუშებმა სამუშაო ქირა ვერ მიიღეს, ამიტომ 28 ნოემბერს მუშაობაზე ხელი აიღეს. ადმინისტრაციის მიერ შეკრებილ ცნობებით გამოირკვა, რომ მუშების უმრავლესობა ახლომახლო სოფლების მცხოვრებია. ეს მცხოვრებნი ძალიან დაზარალებულან მოუსავლობით. ამასთან მრავალ გადასახადის გაღება სჭირდებათ და, რა თქმა უნდა, ქირის მიუღებლობა დიდ გაჭირვებაში ჩააგდებდათ. მაზრის უფროსმა მიიღო ზომები და მაღაროების პატრონებს მუშები დააკმაყოფილებინა. 30 ნოემბერს მუშაობა განახლდა.

✦ **25 წლიწადი სამსახურში.** 25 წელიწადია ტფ. ქალაქის ცენტრალურ სამკურნალოში მუშაობს ფერშალი ყარსელიშვილი. ვინც ამ მუყაით მუშაკს იცნობს, ყველა პატივისცემით არის მისდამი გამსჭვალული. ნიშნად პატივისცემისა ტფ. ქალაქის თვით-მართველობის მოხელეებმა დაადგინეს, იდღესასწაულონ ბ-ნ ყარსელიშვილის 25 წლის მოღვაწეობა. ხვალ საარტისტო საზოგადოების დარბაზში გაიმართება ვახშამი.

✦ **ბუნების-მეტყველთა კრება.** ახლო მომავალში პეტერბურგში გაიმართება სრულიად რუსეთის ბუნების-მეტყველთა და ექიმთა კრება. კრებაზე დასასწრებლად პეტერბურგში უკვე წავიდა ტფ. ქალთა უმაღლეს კურსების რექტორის მოადგილე ბ-ნი ხარიჩკოვი, რომელსაც დავალებული აქვს შუამდგომლობა აღძრას კრების წინაშე, რომ შემდეგი კრება მოხდეს ტფილისში. ტფ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, დეპეშით მიეგებოს კრების გახსნას და წინადადება მისცეს ქალაქის საბჭოს, აღძრას შუამდგომლობა კრების წინაშე, რომ მომავალი კრება აქ დაინიშნოს.

✦ თიანეთის მაზრის სოფელ დაბადა სოფელში ტიფი გავრცელებულა. საგუბერნიო სამკურნალოს გამგეობამ შესაფერი ზომები მიიღო.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობას ცნობები მიუღია, რომ არტილერიის ბანაკის მცხოვრებნი დღემდე მტკვრის წყალს ხმარობენ სასმელად. ქალაქის ამ უბანში წყლის მილი არა ყოფილა თურმე გაყვანილი. გამგეობამ ინჟინერ ქურდიანს დაავალა, შეადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა მილის გასაყვანად.

✦ 8 დეკემბერს ტფილისში მოხდა შემდეგი ამბავი; გაუგებარ მიზეზის გამო მიხეილის პროსპექტზე ცეცხლი გაუჩნდა პარუნბეკოვის სახლში მოთავსებულ დიმიტრი რაკოვის ავეჯეულობის სახელოსნოს. რადგან დიდ ძალი ხმელი ხის მასალა იყო სახელოსნოში ცეცხლი მოწრაფლ მოედო მთელს შენობას და სულ ერთიან გადაიწვა. ცეცხლის მქრობელმა რაზმა მეზობელი სახლები-ღა გადაარჩინა. ზარალი 110,000 მანთამდეა. გადაიწვა აგრეთვე სახელოსნო ფრიდრის გაუხსა საფანერო საწყობი და სხვა. ჩხრეკის დროს 8 დეკემბერს პოლიციის 1 ნაწილში დააპატიმრეს 16 უპასპორტო კაცი. 8 დეკემბერს, დილით 11 საათზე, კაპიტნის შვილმა სერგო ნიკ. ჟუკოვსკიმ (15 წ.), პირველ გიმნაზიის მე-4 კლასის მოწაფემ, მატინოვის ქუჩაზე მამის სახლში რევოლვერით თავი სასიკვდილოდ დაიჭრა. ექიმების შემოწმებით ჭრილობა სამძიმოა. ჟუკოვსკიმ მიზეზი თავის მოკვლის განზრახვისა არ გაამხილა.

# ქუთაისის ამ-ბარში

ქუთაისი ნამდვილი ქართული ქალაქია და, მიუხედავად ამისა, ვერსად შეხვდებით ისეთს ქალაქს, სადაც ქართული სიმღერა ისე იყოს დამახინჯებული, როგორც აქ არის. ქართველის ოჯახში ქართულს კილოს ვერ გაიგონებთ, სამაგიეროდ ქართულ სიტყვებზე გადაღებულ ყოველ ნაირ „ციგნურსა“ და სხვა ამ გვარ ხმას ხშირად შეხვდებით. გიტარა აუცილებელი კუთვნილობაა აქაურ ოჯახისა და თუ ყველა არა, დიდი უმეტესობა ყოველ ოჯახისა აჩხაკუნებს ამ უბადრუკ საკრავს და დამღერის ისეთ ხმებს, რომლებსაც ხან და ხან შარმანკაც-კი დაიწუნებს თავის მსმენელთათვის. ქართული კილო, დასავლეთისაა იგი თუ აღმოსავლეთისა, მიტოვებულია. სოფლიდან მოსულნი და თითო ოროლა ადგილობრივი მცხოვრები თუ გაგაგონებთ, თორემ ამ კილოს ვერ გაიგონებთ.

ეხლა, როგორც გავიგეთ, ქუთაისში არსდება ქართულ სიმღერის მოყვარულთა საზოგადოება და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი განაცხოველებს საზოგადოებაში სიყვარულს ქართულ სიმღერისადმი. ეს იმედი მით უფრო საფუძვლიანად მიგვაჩნია, რომ ამ საქმის მეთაურნი მოტრფიალენი არიან ქართულ კილოსი და კიდევაც აფასებენ მას.

* *
*

თუ მაინცა და მაინც ქუთათურები დაიჟინებენ და უარსა ჰყოფენ თავიანთ ეროვნულ სიმღერას, ის მაინც ვისურვოთ, რომ სხვა ქვეყნიდან საუკეთესო ხმები გადმოიტანონ ჩვენს ნიადაგზე. მაგრამ ამ მხრით ჩვენ, შესაფერ თეატრის უქონლობისა გამო, ისეთ მდგომარეობაში ვართ ჩაყენებულნი, რომ იაფ-ფასიანი სიმღერა თუ მოაღწევს ჩვენამდის, თორემ კარგს ვერ ვეღირსებით. ამ მხრით ტფილისის ოპერის გასტროლები სასურველ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. თუმცა ოპერას ორკესტრი არ ახლავს თან, მაგრამ იგი, უეჭველია, თავის გავლენას იქონიებს ჩვენს საზოგადოებაზე და ციგნურ რომანსებს მიემატება ოპერებიდან ამოღებული ხმები. რა თქმა უნდა, ისა სჯობიან ვერდის ოპერიდან ამოღებული ხმები დაამღერონ ჩვენმა მანდილოსნებმა გიტარას, ვიდრე ის, რასაც ეხლა გვაგონებენ.

ტფილისიდან მოსულმა ოპერამ დიდი ხალხი მიიზიდა თეატრში. 7 დეკემბერს თეატრი სავსე იყო. თქვენ, ტფილელებს, მოყირჭებული გაქვთ კარგად გამართული ოპერა, ჩვენ-კი იმანაც-კი დაგვაკმაყოფილა, რომ „ევგენი ონეგინი“ როიალის აკომპანიმენტით გვიმღერეს. სხვაზე მეტად საზოგადოება დააკმაყოფილა ქ-ნმა შულგინამ (ბახუტაშვილის ქალი) ტატიანეს როლში. ეს მომღერალი კარგა ხანია მას აქეთ, რაც პირველად სცენაზე გამოსული ვნახეთ ტფილისის ოპერაში და უნდა აღვნიშნოთ, რომ მას თვალ-საჩინოთ განუვითარებია თავისი ნიჭი. რამდენადაც წინად მისი ხმა მოუხეშავი და მოხიბლის უნარს მოკლებული, იმდენად ეხლა იგი მოქნილია, მომხიბლავი და წარმტაცი. საზოგადოებამ ქ-ნი შულგინა შესაფერად დააფასა.

* *
*

ასეთი მოვლენა მით უფრო უნდა დავაფასოთ, რომ წერა-კითხვის საზ. აქაურ განყოფილებას ქ-ნი შულგინა მოუწვევია თავის საღამოზე მონაწილეობის მისაღებად. ეს საღამო, რამდენადაც ჩვენ ვიცით, მეტად საინტერესოა თავის პროგრამით და ქ-ნ შულგინას მონაწილეობა გაარკვევს მის ინტერესს თუ მეტადრე მან ქართულადაც იმღერა. ამ საღამოსთვის იწვევდნენ ბ-ნ ივ. სარაჯიშვილსაც, მაგრამ იმის მოწვევა იმდენად ძვირად ჯდება თურმე, რომ ამ განზრახვაზე ხელი აუღიათ. საღამოში, გარდა ქ-ნ შულგინისა, მონაწილეობას მიიღებენ თ-დი ნ. ერისთავი და ყველა ადგილობრივ მუსიკალური და ლიტერატურული ძალები. სხვა მხრითაც საინტერესოდ იქნება თურმე საღამო მოწყობილი. იმედი უნდა ვიქონიოთ რომ საზოგადოება ბლომად დაესწრება და ამით ხელს შეუწყობს წ.-კ. ს. განყოფილების ქონების გაძლიერებას.

ზვარელი.

# აღმოსავლეთი

## საინტერესო მოხსენება.

რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრმა გლეზმერმა ამას წინად პეტერბურგში სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროს წევრთა ჯგუფს მოხსენება წაუკითხა შორეულ აღმოსავლეთის საქმეთა მდგომარეობასა და იაპონიის სამხედრო მზადებაზე. გლეზმერი ეხლახან დაბრუნებულა იაპონიიდან, სადაც მას თავის თვალით უნახავს, თუ რა ბეჯითად ემზადება იაპონია საომრად. გლეზმერის აზრით, მდგომარეობა შორეულ აღმოსავლეთში მეტად საშიშია და ადვილად შესაძლებელია იაპონიამ მალე ომი დაიწყოს რუსეთის წინააღმდეგაო. ამ მოხსენებამ ძლიერ დააფიქრა და დააღონა თურმე რუსეთის მრეწველთა და ბიუროკრატთა წრეები და აგრეთვე გარეშე საქმეთა სამინისტრო. ეს მოხსენება უნდა დაბეჭდილიყო რუსულ სავაჭრო გაზეთში, მაგრამ გარეშე საქმეთა მინისტრმა იზვოლსკიმ დაარწმუნა გლეზმერი, რომ ეგ მოხსენება შიშის ზარს დასცემს რუსეთის ვაჭართა და მრეწველთა წრეებს და მისი დაბეჭდვა შეუძლებელიაო. გლეზმერმა, შეისმინა მინისტრის თხოვნა და უკვე აწყობილი და დასაბეჭდად გამზადებული მოხსენება ამოაღებინა გაზეთის ნომრიდან.

მცოდნე პირები ირწმუნებიან, რომ ამას წინად რუსეთის საზოგადოების დასამშვიდებლად გამოცხადებული ოფიციალური ცნობა უმთავრესად გლეზმერის მოხსენებამ გამოიწვიაო.

## რა გუნებაზე არიან მანჯურიაში.

მთავრობის დამამშვიდებელ ცნობის გამოცხადების შემდეგ, გაზ. „რუსკოე სლოვო“ შეეკითხა თავის კორესპონდენტებს შორეულ აღმოსავლეთის ქალაქებში, რამდენად საფუძვლიანაა ცნობები იაპონიის სამხედრო მზადებაზე. ამ შეკითხვის პასუხად გაზეთის ხარბინელი კორესპონდენტი სწერს:

„აქაური მცხოვრებლები მეტად შეშინებულნი არიან. მთელი საზოგადოება და ნამეტნავად ოფიცრები და ვაჭრები შიშობენ, ვაი თუ მალე იაპონიამ ომი დაიწყოსო. ასევე ფიქრობს აქაური ადმინისტრაციაც. შორეულ აღმოსავლეთის პრესაც ამავე აზრისაა.

აქ დარწმუნებულნი არიან, რომ იაპონელები განზრახ ავრცელებენ ხმას, ვითომ იაპონია ცდილობდეს რუსეთთან შეთანხმებას. უნდათ ასეთ ხმებით რუსები დააძინონ და მოულოდნელად დაეცნენ რუსეთს. აქ არავინ არ დაეთანხმება რუსეთის მინისტრებს, რომლებიც ირწმუნებიან, რომ არავითარი ომი იაპონიასთან არაა მოსალოდნელიო.

აი ფაქტებიც: ამას წინად მანჯურიაში ჩუმად მოვიდნენ იაპონელი უმაღლესი ოფიცრები. მოვიდა თითონ განთქმული ადმირალი ტოგო, რომელიც, როგორც ამბობენ, ჩინელ გუბერნატორს მოელაპარაკა, რომ იაპონიის ჯარს ნება მისცემოდა დაუბრკოლებლივ გაევლო ჩინეთის სამფლობელოზე. იაპონელებმა ჯარი გაგზავნეს რუსეთ-კორეის საზღვარზე ვითომ და კორეელების დასამშვიდებლად. იაპონელი ინტენდანტები დიდძალ სურსათს ყიდულობენ, თანაც მეტად ძვირად, და სამხრეთისკენ ჰგზავნიან. მონღოლიიდან იუწყებიან, რომ იაპონელებმა ექსპედიცია გაგზავნეს რუსეთის საზღვრისკენო.

ჩემგან ნაკითხმა მცოდნე პირებმა ერთხმად სთქვეს, რომ ადვილად შესაძლებელია ომი მოხდესო“.

სხვა კორესპონდენტებსაც ასეთივე საშიში ცნობები გამოუგზავნიათ: იაპონელები სიმაგრეებს აშენებენ და ჯარს აგროვებენ რუსეთ-კორეის საზღვარზეო. ჩინელები დარწმუნებულნი არიან, რომ მალე ომი დაიწყებაო, იაპონიამ სთხოვა ჩინეთს სამხრეთ-მანჯურიის რკინის გზით დაუბრკოლებლივ უნდა გადამაყვანინოთ ჯარი, რამდენიც უნდა დამჭირდესო. საზოგადო აზრი ისაა, რომ თუ რუსეთი როგორმე არ მორიგდება იაპონიას, აუცილებლად მოხდება შეტაკებაო.

## რა უნდა იაპონიას?

ფრანგული გაზ. „პტი ჟურნალ“-ი სწერს, რომ იაპონიას ჰსურს კორეის სამუდამოდ შეერთება, თავის საკუთარ სამფლობელოდ გადაქცევაო. ხოლო რადგან მოსალოდნელია რომ დიდმა სახელმწიფოებმა და მათ შორის რუსეთმაც პროტესტი განაცხადა ამის წინააღმდეგ, იაპონია ბეჯითად ისხავს იარაღს და უეცრად შემთხვევისთვის სამხრად ემზადებაო.

ასეთივე ცნობა მიუღიათ რუსულ გაზეთებსაც. ამბობენ, რუსეთმა უკვე გამოაცხადა თანხმობა, რომ იაპონიამ კორეია დაისაკუთროსო.

## ჩინეთი და რუსეთი.

მანჯურიის მთავარ მმართველის თხოვნისამებრ, ჩინეთის მთავრობამ 300 ათასი ლანი გადასდვა რუსეთის საზღვარზე დარაჯთა რიცხვის გასაძლიერებლად.

პეტერბურგში ცნობა მიიღეს, რომ ბოლოს დროს ჩინეთის მთავრობა ძლიერ ავიწროვებს რუს-კონცესიონერებს მანჯურიასა და მონღოლიაში. ჩინელები სასტიკად ექცევიან იმ კონცესიონერებს, რომლებიც რიგზე არ ასრულებენ პირობას და ემუქრებიან კონცესიების გაუქმებას. ამბობენ აგრეთვე, რომ რუსეთ-ჩინეთის ბანკის მოქმედებასაც ძლიერ ხელს უშლის ჩინეთის მთავრობა, რომელიც ბოლოს დროს უფრო მტრულად ეკიდება რუსეთსაო.

# უცხოეთი

## მუნიციპალური არჩევნები ესპანიაში.

დეპეშამ უკვე შეგვატყობინა მოკლედ, რომ ესპანიაში მუნიციპალური არჩევნები (საქალაქო და სასოფლო თვითმართველობათა წევრების არჩევნები) ლიბერალებისა და მემარცხენეთა (რესპუბლიკელებისა და სოციალისტების) გამარჯვებითა და კონსერვატორების დამარცხებით დასრულდაო. კონსერვატორებმა მხოლოდ აქა-იქ სოფლისა და პატარა ქალაქის თვითმმართველობებში მოახერხეს თავიანთ კანდიდატების გაყვანა. ლიბერალებმა სწორედ რომ შესანიშნავად გაიმარჯვეს. მემარჯვენეთა კავშირმა გაიმარჯვა ბარცელონასა, ვალენციასა, სარაგოსსასა, ბილბაოსა და კიდევ რამდენსამე სხვა ქალაქში. სატახტო ქალაქ მადრიდში აირჩიეს 14 ლიბერალი და 14 მემარცხენე; კონსერვატორებმა ვერც ერთი თავიანთი კანდიდატი ვერ გაიყვანეს. ესპანურ პრესის აზრით, ხალხმა დირსეულად დააფასა რეაქციონური პოლიტიკა პირველ მინისტრად ნამყოფის მაურასი, რომელიც არჩევნების დროს მეთაურობდა კონსერვატიულ პარტიას. ზოგან არჩევნების დროს დიდი უწესოება მოხდა, ნამეტნავად ბილბაოში, სადაც 25 კაცი დასჭრეს და 60 დაატუსაღეს.

## რკინის გზის მუშების მანიფესტაცია პარიზში.

რკინის გზის მუშების კონგრესმა, რომელიც ამას წინად მოხდა პარიზში, სხვათა შორის, დაადგინა—დიდებული მანიფესტაცია მოვახდინოთ და რკინის გზის საზოგადოებებს ჯამაგირის მომატება მოვსთხოვოთო.

კონგრესის გამგეთ პირველ მინისტრს ბრიანს შეატყობინეს თავიანთი გადაწყვეტილება. ბრიანმა ნება მისცა მანიფესტაციის გამართვისა, მხოლოდ იმ პირობით, რომ მანიფესტაციაში 600 კაცზე მეტს არ მიეღო მონაწილეობა. 30 ნოემბერს, ნაშუადღევის 1 საათზე, შრომის ბირჟის სადგომში რამდენიმე ათასი მუშა შეიკრიბა, მაგრამ პოლიციამ მხოლოდ 600 კაცს მისცა მანიფესტაციაში მონაწილეობის მიღების ნება. ამის თაობაზე მკაცრი ლაპარაკი მოუვიდათ მუშებს პოლიციასთან, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მუშებმა დაუთმეს პოლიციას და მუშების უმეტესობა დარჩა შრომის ბირჟაში. მანიფესტანტები გაიყვნენ სამ ჯგუფად და „ინტერნაციონალის“ მღერით ნელა-ნელა გაიარეს პარიზის ქუჩებში. მუშებს მიჰქონდათ დროშები, რომლებზედაც ეწერა: „აქ მოდიან რკინის გზის მონები“, „რკინის გზის მუშები იტანჯებიან სიმშილისგან“; „განა შეიძლება პარიზში დღეში 3 ნახ. ფრანკით იცხოვროს კაცმა?“; „ჩვენ მოვითხოვთ 5 ფრანკს უეჭველ დღიურ ქირად“. მანიფესტაციამ სრულის წესითა და რიგათ ჩაიარა და არავითარი უწესოება არ მომხდარა.

# რუსეთი

✦ **ფინლიანდიაში.** უმაღლესის ბრძანებით ფინლიანდიაში იცვლება წესები გაზეთების გამოცემის ნებართვის

ადების შესახებ. აქნობამდის ფინლიანდიაში გაზეთის ნებართვის მისაღებად საჭირო იყო მხოლოდ განცხადების შეტანა და შემდეგ მეორეხე დღესვე ნებართვას იძლეოდნენ. ეხლა კი მარტო ეს არა კმარა, საჭიროა გენერალ-გუბერნატორის ნებართვაც, რაიც, რა თქმა უნდა, დიდ დროს მოითხოვს და საქმეს აძნელებს.

როგორც ვიცით, ფინლიანდიაში სეიმი დაითხოვეს. თებერვალში მოხდება ახალი არჩევნები. სტასტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, ფინლიანდიაში უკვე შესდგომიან საარჩევნო მზადებას. ამავე გაზეთების სიტყვით ახალ სეიმის შემდგენლობა წინანდელი იქნება, ხალხი დაჟინებით თხოულობს თავის უფლებების დაცვას და კრებეზეზე აშკარად აცხადებს, ხმას იმას მიეცემთ, რომელიც მედგრად და შეუდრეკელად დაიცავს ჩვენ უფლებებსო,

✦ **სემინარიებში.** უკანასკნელ დროს რუსეთის სემინარიებში არეულობაა. დღე ისე არ გაივლის, რომ გაზეთებმა ცნობა არ მოგვიტანონ, ამა და ამ სემინარიაში არეულობააო. „რუს.. ვედ.“ სიტყვით სინოდს შეუმუშავებია განსაკუთრებული ზომები, თუ რანაირად მოუღოს ბოლო არეულობებს. რა თქმა უნდა, სინოდი სემინარიების ცხოვრების გაუმჯობესებაზე არ ზრუნავს და უმთავრეს ყურადღებას რეპრესიების გაძლიერებას აქცევს.

✦ **ახალი ფრაქცია სახელმწიფო სათათბიროში.** როგორც მკითხველს მოეხსენებათ, სახელმწიფო სათათბიროში გოლოლობოვის მეთაურობით შესდგა ახალი ფრაქცია. ფრაქციაში ჩაეწერნენ ოქტომბრისტების ფრაქციიდან გამოსულები. საინტერესოა ფრაქციის შემდგენილობა: ოთხი საერობო უფროსი, ოთხი ბლაღოჩინი, ერთი საგუბერნიო მართველობის წევრი (გოლოლობოვი) და ერთიც სასულიერო კანსისტორიის წევრი, სულ 10 კაცი. სახელმწიფო სათათბიროში ბევრს სიცილს იწვევს თურმე ფრაქცია და მართლაც სად შეკრიბა გოლოლობოვმა „ოთხი საერობო უფროსი, ოთხი ბლაღოჩინი“ სწორედ გასაკვირველია!!

✦ **საგენერალ-გუბერნატოროების. გაუქმება.** სახელმწიფო სათათბიროს მცირე კამისიას დაუდგენია, გაუქმდეს ვილნის, კიევის და მოსკოვის საგენერალ-გუბერნატორობიო.

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: მოსკოვში 1, ვილნოში 3, ვოლოგდაში 1, სარატოვში 2, უფაში 1, ტომსკში 4, ვარშავაში 1. ადესაში 2 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: ვოლოგდაში 3, ვილნოში 1, ხარკოვში 2, პეტერბურგში 1, სარატოვში 1, ვარშავაში 1 კაცი.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ეს მცირე შემოწირულება—ექვსი მანათი—გადასცეთ ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ საზოგადოებას. ფული შეგროვილია ამხანაგებში: გ. მ. გარშანია—1 მ., გ. ნიკოლაშვილი —1 მ., ხარატოვი—1 მ., შანაევი რუსტამ-ბეკ—1 მ. ნასიძე—2 მ. **პ. ნასიძე.**

—

პატივცემულო რედაქტორო! ნება მოგვეცით, თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ ბაქოში მცხოვრებ, ქვემოდ სიაში აღნიშნულ პირთ, რომელთაც კეთილი ინებეს და დახმარება აღმოუჩინეს აბედათის უფასო სამკითხველოს.

შემომწირველთა სია: თამარ დ. შელია —1 მან., ა. ბეკზაგოვი—1 მ., პრომიანცი. მ. ო.—3 მ., ბ. ბიჩ.—5 მ., სმოლინი—1 მ., ა. ბენდერი—5 მ., დ.—ლიანოზოვი 3 მ., გ. პაპე—2 მ. 75 კ., მარაგოვი 1 მ., რაჟდენ ლუკასძე სიხარულიძე—2 მ., გ. კ.—3 მ., დესპინა ბარქაიასა—1 მ., ვლადიმერი პ. დგებუაძე—2 მ., პავლე გიგოსძე სურმავა—50 კ.

აბედათის უფასო სამკითხველოს გამგე **ი. ანჯაფარიძე**

—

ბ-ნო რედაქტორო! ამას წინად „დროება“-ში დაიბეჭდა კორესპონდენცია გორიდან გორიჯვრელის ფსევდონიმით. გორში ხმა გაავრცელეს, ვითომ ამ წერილის ავტორი მე ვიყო. გთხოვთ დაამოწმოთ, რომ ხსენებული წერილი მე არ მეკუთვნის *

**ივანე დიმიტრის ძე კვალიაშვილი.**

*) ვამოწმებთ, რომ ხსენებული წერილი კვალიაშვილს არ ეკუთვნის.

**რედაქცია.**

—

ბ-ნო რედაქტორო! როდესაც ტფილისის ვაჭართაგან სავაჭრო დღე იყო დანიშნული ქ.-შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ, იმ დროს მე სოფელში ვიყავი და ჩემი სავაჭროც დაკეტილი იყო იმ ხანებში. ამიტომ თავის დროზე ვერ წარმოვადგინე ჩემი ხვედრი წვლილი იმისთანა დიდ საქმისთვის, როგორიც არის ხალხში სწავლის გავრცელება.

ამიტომ ახლა ვისწრაფვი გაახლოთ ორი მანეთი ზემოხსენებულ საზოგადოების სასარგებლოდ გადასაცემად.

ღვინით მოვაჭრე **ვასილ ნაცვლიშვილი.**

—

ბ-ნო რედაქტორო! ნება მომეცით, თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადო იმათ, რომელთაც კეთილ ინებეს და სოფელს ბოდბისხევის (სიღნაღის მაზრა) ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსებიდან დღემდის მატერიალურ დახმარებას უწევენ, განსაკუთრებით ქ.-შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომელმაც შემოსწირა 55 ცალი წიგნი (ღირებული 16 მან. 34 კ.), ანეტა გვრიტიშვილისას—78 ცალი (16 მან. 69 კაპ.) და ექ. ჯანდიერს—10 მ.

გამგე **შაქრო ნაცვლიშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ს. აგლაძე.**


**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და ხიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—20)

**იშვიათი შემთხვევა**

**2 მ. 85 კ.-დ**

დამზადებული ქალის მშვენიერი საზამთრო ზედა იუბკა რბილ ტრიკოხი, ლამაზი, მჭიდრი, შეკერილი პარიზის უკანასკნელ მოდაზე. იგზავნება ფოსტით ფასდადებით, უბეოდ, გასაგზავნი ფასი 55 კ. ვინც ერთად სამ იუბკას დაიბარებს, გაგზავნის ფასი ჩვენია. **საშიშო არაფერია:** ვისაც არ მოეწონება, ფულს დაუბრუნებთ. ასეთივე იუბკა უკეთეს მატერიისა და უფრო ლამაზად დამზადებული 3 მან. 50 კ. ვთხოვთ მსურველთ, მოგვწერონ, რა სიგრძისა იყოს და აგრეთვე წელის რაოდენობა სანტიმეტრით ან წერილთან ერთად გამოგზავნონ ზომა. ციმბირში მეტი 80 კაპ.

ადრესი: Фабрика А. Клвмана, Лодзь, N 18. (4—ფ.—2)




**ნუ დაუჯერებთ რეკლამას! ერიდეთ მოტყუებას,**

რადგან ეს მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული. თუ არჩენდობით პეტერ. ფირმებს, რომელნიც ყიდულობენ უსამაგლებს საათებს ვარშავაში და გიგზავნიან თქვენ. თუ გინდათ მშვენიერი და მკვიდრი საათი, გამოიწერეთ პარიზიდან იმ ფირმისაგან, რომელსაც აზრადა აქვს დაცლილთ საზოგადოება პეტ. და სხვა ფირმების მოტყუებისაგან. ოქროს საათის ნაცვლად, რომელიც ღირს 200 მან., იყიდეთ მამაკაცის ჯიბის საათი სამი სახურავით „სეცესია“, რომელიც ოქროს საათსა ჰგავს, დიდის ელექტ. სამ. შემოკლებული აქვს 14% ოქრო. მექანიზმი ნამდვ. შვეიცარიულია. მომართვა 40 საათში ერთხელ უნდა. ეს საათი ნამდვილი ახალი ოქროა. ჯილდო აქვს ოქროს მედალი და სხვა ნიშნ. **ფასი 5 მან. 25 კ. 2 ცალი—10 მ., 4 ც. 19 მ.50 კ.** ასეთივე ღია საათი 3 მ. 75 კ., 2 ც.—7 მ., 4 ც.—13 მ. 50 კ. ვისაც ეს საათი უნაზავს, ჰგონებია 25 მანეთი ღირსო. იგზავნება შემოწმებული საათები. პასუხს ვაგებთ 6 წ. იგზავ. ფას-დადებით, უბეოდ. გასაგზავ. ბაჟი 60 კ., (ციმბირში 90 კ.). ადრესი, რომელიც შეიძლება ამოიჭრას და მაგრა დაეკრას ღია ბარათს ან კონვერტს

| | |
|---|---|
| Парижъ Paris 7 | S. Strumfeld Rue Monge 20 bis. |

უფასოდ იგზავ. მშვ. ოქროს მეწკვი და ზამშ. ბუდე საათის შესან. წერილი შეიძლება გამოიგზავნოს რუსულად. კონვერტს უნდა დაეკრას 10 კ. მარკა, ღია წერილს 4 კაპ. მარკა. Метцль и К-о N 76539 (1—ნ.—1)

**მიიღება ხელის მოწერა 1910 წელს.**

რუსეთში ერთად-ერთ ორ-კვირეულ იშვიათ სილამაზის სამხატვრო- სალიტერატურო და სამეცნიერო საუცხოვო სურათებიან ჟურნალ

# „პრობუჟდენიე“-ზე

ჟურნალი ხუთი წელიწადია რაც გამოდის.

რუსეთის ინტელიგენცია ნდობითა და სიყვარულით ეპყრობა ჟურნალ «პ რ ო ბ უ ჟ დ ე ნ ი ე»-ს. თანამშრომლობენ რუსეთის საუკეთესო მწერლები და მეცნიერები, რის გამო ჟურნალი მეტად გავრცელებული და პოპულიარულია. 1910 წელს უფრო გალამაზებული იქნება „პრობუჟდენიე“. ასეთი პერიოდული გამოცემა არა ყოფილა ჯერ რუსეთში. მეირფასი განძია სამხატვრო ბიბლიოთეკისთვის. განახლებულ ჟურნალში დიდი ყურადღება იქნება მიქცეული სამხატვრო განყოფილების გაუმჯობესებაზე და სურათების სიმშვენიერეზე ფერადიანი სურათები დამზადდება ბერლინსა, დრეზდენსა, ლეიპციგსა მიუნხენსა და პეტერბურგში.

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ რუსეთის ცნობილი თანამედროვე მწერლები: ლეონიდ ანდრეევი, არციბაშევი მ. პ., ანდრუსონი ლ. ი., ბარანცევიჩი კ. ს., ბუნინი ი. ა., ბუდიშჩევი ა ნ., გუსევ-ორენბურგელი ს. ი., გნედიჩი პ. პ., გოროდეცკი სერგი. იზმაილოვი ა. ა., იზმაილოვი ვლ., კამენსკი ა. პ., კუპრინი ა. ნ., ლენსკი ვ. ი., ლიხაჩოვი ვ. ს., მუიჟელი ვ. ვ , ნაიდენოვი ს. ა., ნემიროვიჩ-დანჩენკო ვას. ივ., პოტაპენკო ი. ნ., რიშკოვი ვ. ა., სერაფიმოვიჩი ა. ს., სკიტალეცი, ტიხონოვი ვლ. ა., ტიმკოვსკი ნ.. ტოლსტოი ა. ნ., უმანოვი-კაპლუნოვსკი ვლ., ჩირიკოვი ე. ნ., ჩეხოვი ა. პ., შჩეპკინა-კუპერნიკი ტ. ლ. და მრავ. სხვანი.

**1910 წელს ჟურნალი შესამჩნევად გადიდებულ პროგრამით გამოვა:**

რომანები, მოთხრობები. ისტორიული ბელეტრისტიკა, ლექსები, მიმოხილვანი ისტორიიდან და ლიტერატურის ისტორიიდან რუსეთისა და მსოფლიო. ფელეტონები. ლიტერატურის ახალი ნაწარმოებნ—ი რუსეთისა და უცხოეთისა. სატირიული და იუმორისტული მოთხრობანი, კრიტიკა, ხელოვნება, თეატრი და მუსიკა. მოგზაურობანი, ეთნოგრაფიული მიმოხილვანი. მოგონებანი და წერილები. მეცნიერულ-პოლიტიკური წერილები თანამედროვე საკითხზე. მიმდინარე ამბები. ბუნების-მეტყველება. მეცნიერების განვითარება. დრამატიული ნაწარმოებნი ნოტები, ბიბლიოგრაფია.

1910 წლის ხელის მომწერნი მიიღებენ (ყოველ თვის 1-სა და 15-ში):

**24** ნომერს ჟურნალისას მშვენივრად დასურათებულს. **25** მრავალ-ფერიანს სურათს რუსეთის და საზღვარ-გარეთის ცნობილ მხატვრებისას.

**12** მშვენიერ მხატვრულ ალბომს სურათებისას (70 სურათზე მეტი ცალკე ფურცლებზე):

1. რაფიელ სანტი: რჩეული სურათები ყველა დროისა და ხალხების საუკეთესო სურათებისა.
2. რემბრანდტი.
3. მურილიო. რჩეული სურათები ცნობილ ესპანელ მხატვრისა.
4. ლეონარდო და ვინჩი. რჩეული ნაწარმოებნი იტალიის ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლისა.
5. მიქელ ანჯელო. გამოჩენილი სურათები დიდებულ იტალიელ მხატვრისა.
6. რუბენსი. რჩეული სურათები კამოჩენილ ფლამანდელ მხატვრისა.
7. კორეჯიო. რჩეული სურათები გამოჩენილ იტალიელ მხატვრისა.
8. მეისონიე. საუკეთესო სურათები დიდებულ ფრანგ მხატვრისა.
9. მენცელი ა. გამოჩენილი სურათები გერმანიის ისტორიულ მხატვრისა.
10 ტიციანი. რჩეული სურათები დიდებულ იტალიელ მხატვრისა.
11. ალმა თადემა. ცნობილ ჰოლანდიელ მხატვრის სურათების ალბომი.

მიქაელ მუნკაჩი. ჰუნგრელ მხატვრის გამოჩენილი სურათები.

**ხელის მოწერის ფასი:** ერთი წლით გაუგზავნელათ 6 მან., გაგზავნით ყველა ქალაქში 7 მანეთი. ნახევარი წლით 4 მან. სამი თვით 2 მან. საზღვარ-გარედ 10 მან. სამ თვეზე ქვევით ხელის მოწერა არ მიიღება.

ადრესი: Редакція журнала „ПРОБУЖДЕНІЕ“: С.-Пет—ргъ, В. Подьяч. д. 39

(3—2) რედაქტორ-გამომცემელი ნ. ვ. კორეცკი.

**მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის**

**ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე**

# მათრახი



და სალამური

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

▲ სალამური ▼ ▲ მათრახი ▼

ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს აგვისტოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთათ

**პრემიათ გაეგზავნება**

**ახალი კრებული**

ამ კრებულში მოთავსებული იქნება: ლექსები, მოთხრობები, იუმორისტული ნაწარმოებნი და სხვა. როგორც ორგინალური, ისე ნათარგმნი.

**წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ეღირება 1 მან.**

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზრდა მწერლები და პოეტები

ჟურნალის ფასი მთელი წლის **სრულად უნდა აუცილებლად შემოიტანონ პირველ ივნისამდე.** ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს, პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: პირველად 2 მან. 50 კაპ. დანარჩენი 2 მან, 50 კაპ. პირველ ივნისამდე.

1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნალი გამოვა იმავ ფორმატით და იმავ შინაარსით. რედაქცია ეცდება გააუმჯობესოს ჟურნალი. მონაწილეობას მიიღებენ: **აზიანი, ბლიკვაძე, განჯის-კარელი, ეშმაკი, ვოლდემარი, ზამლეთელი, თურდოს-პირელი, იასამანი, კენტი, ლეჩხუმელი, მალაქიაშვილი, პიტნ, ტ. რამიშვილი, რუხაძე, რუშაველი, ტუქაიშვილი, ფონ-ტეფო, ქუჩიშვილი, შხანკოლა** და სხვანი.

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კაპ.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი. Тифлисъ, Типографія Т-ва „Шрома“ Василію Карамановичу Болквадзе. (10—ნ.—5)

პირველად პირველად

# პ. ს. დორონოვის

მაღაზიაში

სოლოლაკის ქუჩა, გურგენოვის სახლი, ტელეფონი № 583.

# საშობაო ბაზარი

საოცარი იაფობა

12 დღის განმავლობაში, ესე იგი

10, 11, 12, 14, 15, 16, 17, 18, 19, 21, 22 და 23 დეკემბერს

ყველა ცხრა სპეციალურ განყოფილებაში

ყველაფერი საოცრად იაფად იყიდება საქონელი.

| | | |
|---|---|---|
| ტილეულობის განყოფილებაში ყველაფერი იაფია | კაცის საცვლის განყოფილებაში ყველაფერი იაფია | ქალის საცვლის განყოფილებაში ყველაფერი იაფია |
| ტრიკოტაჟის ნაწარმოების განყოფილებაში ყველაფერი იაფია | მაუდის საქონლის განყოფილებაში ყველაფერი იაფია | აბრეშუმეულობის განყოფილებაში ყველაფერი იაფია |

შალის მატერიების განყოფილებაში ყველაფერი იაფია | ბამბის ფერად ქსოვილთა განყოფილებაში ყველაფერი იაფია

სამებელო მატერიების განყოფილებაში ყველაფერი იაფია

**ფანჯრებში** გამოკიდებულია საქონელი ყველა ცხრა განყოფილებიდან და თან აღნიშნულია საოცრად იაფი ფასები.

იაფ ვაჭრობის დღეებში სადილისთვის მაღაზია დაიკეტება 2½-დან 4 საათამდე. (0—ნ.—1)

# სანერგე ამერიკულ ვაზისა

„კლდ-ეგურული“ ქუთაისში.

● უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში ●

1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სასმელ და საჭმელ ყურძნის ჯიში და გიბრიდები.

**მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის-კურანტები.**

აქვე იღებენ ბავშვებს სამეურნეო მუშაობის შესასწავლად. (0—ნ.—11)

# პროვოდნიკის



1897 წ.



1908 წ.



1888

# ამხანაგობა

რიგაში

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

**მოახლოვებულ დღესასწაულებისთვის**

მიღებულ იქმნა შემდეგი ნივთები:

**შობის ხეებისთვის აზბესტის თოვლი, რომელიც არ იწვის.**

**რეზინის სათამაშოები.**

**მხეცები, ტიკინები და ბურთები.**

დიდ-მალი უჯრებიანი სუფრები

იყიდება ცალობით და არშინობით.


სტ. ამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.